

პერიოდი	შეხვედრების საერთო რაოდენობა	შეხვედრების ადგილი ქალაქი (უბანი, ქუჩა), დაბა (უბანი, ქუჩა), სოფელი	ძირითადი იდენტიფიცირებული პრობლემები	რა რეაგირება მოახდინა დეპუტატმა იდენტიფიცირებულ პრობლემებზე	რა შედეგი მოჰყვა დეპუტატის რეაგირებას, მოგვარდა თუ არა პრობლემა
პასუხები წარმოდგენილია დეპუტატის მიერ მოწოდებული სახით					
III კვარტალი 2021	-	ქ.ბოლნისი (ბიუროს ოფისი).	- დასაქმება; - მედიკამენტებით უზრუნველ-ყოფა; - ერთჯერადი მატერიალური დახმარება.	- შუამდგომლობა კომპანია RMG -ში; - შუამდგომლობა მუნიციპალიტეტში; - შუამდგომლობა მუნიციპალიტეტში	საკითხი მოქალაქეების სასიკეთოდ გადაწყდა, გაეწიათ შესაბამისი დახმარება.
		თეთრიწყა- როს მუნიცი., სოფელი კოდა (სოფლის ცენტრში არსებული სკვერი)	ინფრასტრუქტურული საკითხები (გარე განათება, ე.წ ფაბრიკის დასახლებაში სკვერი, მუხატში შიდა გზა).	სამუშაო შეხვედრა შედგა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მოხდა პრიორიტეტების და სამოქმედო გეგმის დასახვა.	გაკეთდა გარე განათება, ე.წ ფაბრიკის დასახლებაში განხორციელდა სკვერის რეაბილიტაცია, მუნიციპალური ფონდის დაფინანსებით მოეწყო მუხათში შიდა გზა.

		წალკის მუნიციპალიტეტის სოფელი, ბარეთი (საჯარო სკოლის ეზო)	გაუმართავი საგზაო ინფრასტრუქტურა.	მაჟორიტარს ინტენსიური კომუნიკაცია ჰქონდა შესაბამის უწყებებთან (საგზაო დეპარტამენტთან) გაიგზავნა წერილი, რათა დროულად აღმოფხვრილიყო არსებული პრობლემა.	საკითხი მოსახლეობისთვის დადებითად გადაწყდა. უკვე მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-169) იმერა-ბარეთი-თეჯისი-ჩივთქილისა-ხაჩკოი-გუმბათი-ავრანლოს საწყისი 7,3 კმ.-იანი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
		ქ.ბოლნისი ტაბიძის, ფალიაშვილის, ასათიანის, ქუჩების მოსახლეობასთან.	ზაფხულის პერიოდში სასმელი წყლის სიმცირე.	მაჟორიტარმა არაერთი სამუშაო შეხვედრა გამართა წყლის მიმწოდებელ კომპანიასთან. ამასთანავე, აღნიშნული საკითხი დააყენა პლენარულ სხდომაზე და პრემიერ-მინისტრს მიმართა, რომ პირადად ჩართულიყო საკითხის მოსახლეობისთვის დადებითად გადასაწყვეტად.	საკითხი დადებითად გადაწყდა. ქალაქ ბოლნისის „ყარაბულახის“ სათავე ნაგებობის რეაბილიტაციისა და მიმდებარე სოფლების წყალმომარაგების სისტემის პროექტირება-მშენებლობის სამუშაოებზე ტენდერი გამოცხადდა.

		ქ.დმანისი, წმინდა ნინოს ქუჩა.	ინფრასტრუქტურული საკითხები.	ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაგეგმვის მიზნით ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დმანისში ადგილზე მოინახულა ქალაქის რამდენიმე ლოკაცია.	დმანისის მუნიციპალიტეტში 4 ლოკაციაზე მიმდინარეობს სკვერებისა და რეკრეაციული სივრცეების რეაბილიტაცია.
		სოფელი ტალავერი (ახალგაზრდული ცენტრი)	- ქართული ენის შესწავლის საჭიროება; - მუნიციპალური ტრანსპორტის გაუმჯობესების საკითხი.	სამუშაო შეხვედრა გაიმართა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან და ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე გუნდთან.	მუნიციპალური ტრანსპორტი სოფელიდან მუნიციპალურ ცენტრამდე დღეში ორჯერ დადის (დილით და შუადღისას). უახლოეს პერიოდში ქართული ენის შემსწავლელი კურსები ჩატარდება არა მხოლოდ ტალავერში, არამედ ნახიდურის, დარბაზის, ქვემო ბოლნისის ახალგაზრდულ ცენტრებშიც.